


ელიის ტაძრის აღდგენის ისტორია

დედოფლისწყაროში ელია თეზბიტელის სახელობის მონასტრის აღდგენის პროცესთან დაკავშირებულ უცნობ და საინტერესო დეტალებზე გაზეთ „შირაქთან“ საუბრობს სასულიერო პირი, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული ყველა პროცესში. ყველაფერმა მის მხრებზე გადაიარა. მამა ნიკოლოზი იმ დროს იხსენებს, როცა ელიაობის დღესასწაულზე პირველი პარაკლისი გადანიშნა.

დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე: „1999 წელს, ბოძებელი ეპისკოპოსის ნიკოლოზის ლოცვა-კურთხევით, მე დედოფლისწყაროში გამომიყვანეს. მაშინ ამ ქალაქში ტაძარი არ არსებობდა და დაეინიშნე სამლოცველო სახლის წინამძღვრად. ელიას მთაზე ყოველთვის აღინიშნებოდა ელია თეზბიტელის სახელობის დღესასწაული. ჩვენ გვინებდა ხოლმე ამოსვლა და პარაკლისის ჩატარება. წირვის ჩატარების შესაძლებლობა ამ გარემოში ნამდვილად არ იყო, ამიტომ პარაკლისით შემოვიფარგლებოდით. როცა ამოვიდოდით, აქ უამრავი მომლოცველი გვხვდებოდა. ამიტომ, გაგვიჩნდა სურვილი, რომ აღდგენილიყო ის ძირძველი ტაძარი, რომელიც ამ კლდეზე იყო შეფენილი და საძირკვლის ნაშთები ვერ კიდევ მოჩანდა. იმდენად განადგურებული იყო, რომ ტაძრის ფორმას ვერ აღვიქვამდით. ქალაქის არქიტექტორთან ერთად დავათვალიერეთ და ერთ დღესაც საძირკველთან აღმოვაჩინეთ ფრესკის პატარა ფრაგმენტები, რომლებიც ვერ კიდევ შემორჩენილიყო. ამან დაგვარწმუნა, რომ ძველად, აქ ნამდვილად ტაძარი იყო. ამ დროიდან ძალიან დიდი სურვილი გვექონდა, ტაძრის მშენებლობა დაგვეწყო. ამასობაში, 2004-08 წლებში ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების განვითარების პროგრამა დაიწყო და მცირე გრანტების დაფინანსება გამოცხადდა. მოსახლეობის მხარდაჭერით ჩვენც შევიტანეთ განაცხადი. რაიონის არქიტექტორმა სერგო ქართველიშვილმა შეადგინა ტაძრის პროექტი, მივიღეთ მონაწილეობა ამ პროგრამაში. ამას წინ უძღვოდა არქეოლოგიური სამუშაოები, რომელიც ამ მცირე გრანტების პროგრამის დაფინანსებით შედგა. მნიშვნელოვანი გამოდგა ეს არქეოლოგიური კვლევები, რომლის დროსაც აქ ჩამოვიდა ცნობილი არქეოლოგი იულონ გაგომიძე. მან გათხარა ტაძრის ნაშთები და მთელი შემოგარენი. ბატონმა იულონმა დაადასტურა, რომ ეს ნამდვილად ტაძარი იყო და მეექვსე საუკუნიდან მოქმედებდა. სხვადასხვა დროს იყო დანგრეული და რამდენჯერმე აღდგენილი. ყველა პერიოდის ნაშთები აღმოვაჩინეთ ამ კვლევების შედეგად.

აქ მეექვსე საუკუნიდან სხვადასხვა დროს ტაძარი და მონასტერი ფუნქციონირებს. როდესაც კახეთში ალექსანდრე დიუმა ჩამოვიდა და დედოფლისწყაროში იმოგზაურა, აღწერა წმინდა ელია თეზბიტელის ტაძარი. ის წერს, როგორი პატივითა და სიყვარულით ეპყრობოდა მოსახლეობა ამ წმინდა ადგილს. სხვათაშორის, როდესაც იულონ გაგომიძე დედოფლისწყაროში ჩამოვიდა, ასეთი რამ მითხრა: „აქ ჩამოსვლით ბავშვობის ოცნება ავიხსენებო!“ მამაბო, რომ პატარა იყო, როცა მამამისი წითელწყაროში მუშაობდა მენავთობედ და ის ხშირად დაჰყვებოდა აქ. ხშირად ავდიოდი ელიას მთაზე, ნატარალზე და ამიტომ, სულ

მინდოდა ამ ტერიტორიის შესწავლა. ბედნიერი იყო, რომ ამის შესაძლებლობა მიეცა. ამის შემდეგ, ღვთის მადლით და კეთილი ადამიანების დახმარებით დავინყეთ ტაძრის აღდგენა. რა თქმა უნდა, დაფინანსდა მსოფლიო ბანკის მიერ მცირე გრანტების პროგრამით. ის თანხა ვერ ააშენებდა ტაძარს, მაგრამ დასაწყისისთვის ეს მნიშვნელოვანი იყო და ძალიან შეგვეძლეა. აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დაგვეხმარნენ, იყო შემონირობლები. ჩვენ გვყავს ძალიან კარგი მშენებელ-ინჟინერი დავით ფხოველიშვილი (მერის მოადგილე), რომელიც უშუალოდ აწარმოებდა ამ სამუშაოებს. მშენებელი კი იყო საოცარი პოეტი, ზაურ გონაშვილი. დასაწყისიდან სახურავამდე ის აშენებდა ამ ტაძარს. 25 მეტრის სიმაღლეზე მიდიოდა მშენებლობის პროცესი. სამშენებლო მასალის აზიდვა



გვიხდებოდა. თუმცა, იქ ვერანაირი ტექნიკა ვერ უდგებოდა. ამიტომ ხალხის დიდი რაოდენობა იყო საჭირო, რათა მასალა ხელიდან ხელში გადასულიყო და თითქმის 1 200 ტონა ქვა, რკინაბეტონი, თუ დულაბი, ხელიდან ხელში აიზიდა და ასე აშენდა ეს მაღლიანი ტაძარი. ძალოვანი უწყებებიდან, სასაზღვრო პოლიციიდან მოდიოდნენ ბიჭები და გვეხმარებოდნენ. სხვადასხვა უბნებში გროვდებოდნენ ახალგაზრდები და ამ კეთილ საქმეში ერთვებოდნენ. 2005 წელს დაიწყო მშენებლობა და 2007 წელს ჩვენ უკვე პირველი წირვა-ლოცვა ჩავატარეთ ამ ტაძარში. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი სიხარული იყო მრევლისათვის, რადგან, მოგვეცა საშუალება, ამ აღდგენილ ტაძარში განახლებულიყო წირვა-ლოცვა და აქ მონასტერი დაფუნქციონირებოდა. ელიას მთაზე რომ ახვიდოდით, გზა საერთოდ არ იყო. პატარა საცალფეხო ბილიკი ჩადიოდა. ხალხს ძალიან უჭირდა ჩამოსვლა. რაიონში იყო ადგილობრივი ქველმოქმედი ადამიანი,

და, გადწყვიტეს, რომ დაეხურათ ტაძარი. სამწუხაროდ, ეს მოახერხეს კიდევ. მაგრამ, ხალხი აქ ისევ მოდიოდა მოსალოცად. ეს აღიზიანებდა იმდროინდელ ხელისუფლებას, დაგვემეს, არა მართო ტაძარი დაეგრიათ, მთლიანად მთა მოეშალათ. ტაძრის დანგრევა შეძლეს. ადრე ერთი მოხუცებული მიყვებოდა ასეთ ამბავს: „ბავშვებს გვეუბნებოდნენ, რომ ტაძრის კედლებში ოქრო და განძი იმალებოდა. ამიტომ, ხალხი წერაქვებით მიდიოდა, თხრიდა და ანგრევდა კლდეებს, ტაძრის ნაშთებს. ცხადია, ვერ პოულობდნენ, რადგან ეს ამბავი მოგონილი იყო.“

მონასტრის ძირში ყოფილა წყარო, რომელსაც ბერები იყენებდნენ. როდესაც მთის მოშლა გადაწყდა, კარიერის გახსნა და ნაშლის კირქვისთვის გამოყენება დაგვემეს. გაიყვანეს გზა და მთის ძირში მოამზადეს ასაფეთქებელი ნივთიერებები. ვერავინ ვერ ბედავდა მის აფეთქებას. ბევრი რუსი მოსახლე ცხოვრობდა, ძალიან უყვარდათ ეს ადგილი, აქ იდგნენ და იცავდნენ მთას... მაგრამ ერთ დღესაც მოახერხეს აფეთქება. არსებობს ასეთი გადმოცემა, რომ კლდის ნამსხვრევი მოხვდა სწორედ იმ ადამიანს, ვინც აფეთქების განკარგულება გასცა. ის ადგილზე გარდაიცვალა და დანარჩენები ისე შემინდნენ, გადაიფიქრეს ამ მთის ხელყოფა. ამავე აფეთქების შედეგად დაიკარგა ის წყარო და დღეს აქ წყალი აღარ მოდის.

1989 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ სამღვდლოებასთან ერთად მოინახულა ეს ადგილი. როგორც თვითმხილველები მიყვებიან, უწმინდესი ფეხშიშველი ასულა ზემოთ არსებულ ჯვართან და იქ ილოცა. (ამ ფაქტის ექსკლუზიური ფოტომასალა გაზეთ „შირაქის“ რედაქციაშია დაცული)

ესაუბრა
ილია მარტყოფლიშვილი

დასუფთავების მასშტაბური აქცია

დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით დასუფთავების მასშტაბური აქცია გაიმართა.

აქციაში მონაწილეობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და მერიის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილმა მერიისა და ა(ა)იპების თანამშრომლებთან ერთად მიიღეს.

ლონისძიების ფარგლებში გაინმინდა ქ. დედოფლისწყაროს მიმდებარე რეკრეაციული ზონები.

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის, ირაკლი შიოშვილის ინიციატივით დასუფთავების მასშტაბური აქცია კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში მუდმივ რეჟიმში იმართება.

შეგახსენებთ, რომ კახეთის რეგიონი ზედიზედ მეოთხედ კონკურსის „სუფთა რეგიონი“ გამარჯვებულია.



უშუს წევრების წინა საშეჯიბრო შეკრება

საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაციის ნაკრების წევრებმა გაიარეს წინა საშეჯიბრო 8 დღიანი შეკრება.

32 სპორტსმენი აქტიურ წინა საშეჯიბრო მზადებაში ჩაერთო ფედერაციის პროფესიონალ მწვრთნელებთან ერთად ბათუმის უშუს ლია საერთაშორისო ტურნირისთვის.

დედოფლისწყაროს უშუს გუნდიდან ფედერაციის დაფინანსებით ოთხი სპორტსმენი იმყოფებოდა სპორტულ შეკრებაზე. გივი გოჩიტაშვილი, გიორგი ნიკლაური, საბა ბუთხუზი და ნიკოლოზ ხარაზიშვილი.

ბათუმის ლია საერთაშორისო ტურნირზე დედოფლისწყაროდან ხუთი სპორტსმენი იასპარეზებს. აღნიშნულ ტურნირზე საქართველოს გარდა 8 ქვეყნის ნაკრები გუნდის სპორტსმენი იბრძოლებს.

ტურნირზე საპრიზო თანხა 25.000 ლარს შეადგენს რაც უფროსი ასაკის ჩემპიონებზე გადანაწილდება.



ვოლოდიმირ ზელენსკი - „დემნა გვასალია ჩვენი პლატფორმის nited24 -ის ელჩი გახდა უკრაინის აღდგენის“ მიმართულებით

Balenciaga-ს კრეატიული დირექტორი დემნა გვასალია ჩვენი ფანდრაიზინგის პლატფორმის United24-ის ელჩი გახდა „უკრაინის აღდგენის“ მიმართულებით, რათა დროებით იძულებით გადაადგილებულ პირებს დაეხმაროს, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

„BALENCIAGA-მ სპეციალური სვიტერი შექმნა პლატფორმის მხარდასაჭერად. ასეთი სვიტერების გაყიდვიდან მიღებული მოგების 100% გადაირიცხება „უკრაინის აღდგენის“ მიმართულებით“-აღნიშნა უკრაინის ლიდერმა.

„მადლობა უკრაინის მხარდაჭერისთვის!“ - წერს ზელენსკი.

ცნობისთვის, United24 უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის ინიციატივით, რომელიც უკრაინის მხარდასაჭერად საქველმოქმედო შემოწირულობებს აგროვებს.



მედიკამენტოზა ფასების ზედა ზღვარი მომდევნო წლიდან დაწესდება

2023 წლის დასაწყისიდან, კონკრეტულ მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები (ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო დაანესებს ზედა ზღვარს, რა ფასად უნდა მოხდეს მედიკამენტების გაყიდვა ან მათი იმპორტი. ფასები კი სხვა ქვეყნებთან შედარების საფუძველზე, კონკრეტული ფორმულით დადგინდება) დაწესდება. ამის შესახებ ინფორმაციას ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, პირველ ეტაპზე, ფასების ზედა ზღვარი, ქრონიკული და ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალო პრეპარატებზე დადგინდება. როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ილია ლუდუშაური განმარტავს, რეფერენტული ფასების დაწესება იმ რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტია, რომლის მიზანია მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის, თუ მედიკამენტების მიწოდებაა. „თავდაპირველად, ზედა ზღვარს ქრონიკული და ონკოლოგიური მედიკამენტებისთვის განესაზღვრავთ, რადგან სწორედ ისინი იყიდება ყველაზე დიდი რაოდენობით და არის ყველაზე ძვირადღირებული.

ახლა სწორედ მეთოდოლოგიის შერჩევის ეტაპზე ვართ. პროცესში ჩართულები არიან როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები, მათ შორის, ვისაც ნამუშევარი აქვს ამ რეფორმაზე ბულგარეთში, სლოვენიაში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში და ა.შ.“, - განაცხადა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ. როგორც ილია ლუდუშაურმა აღნიშნა, რეფერენტული ფასები გენერიკების დონეზე დაწესდება და ნებისმიერი კომპანია, რომელიც კონკრეტული გენერიკის გაყიდვას გადაწყვეტს, ვალდებული იქნება, დადგინდეს ტარიფზე მაღალი ფასი არ დაანესოს.

საქართველოდან თხების და ცხვრების ექსპორტი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირდა

საქართველოდან ცოცხალი თხებისა და ცხვრების ექსპორტი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირდა. საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2022 წლის იანვარი-ივნისში საქართველოდან 6.3 მლნ აშშ დოლარის 1,913 ტონა თხა და ცხვარი გავიდა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი, 8.5 მლნ აშშ დოლარის 2,689 ტონა ცხვრის ექსპორტი განხორციელდა.

გთავაზობთ ქვეყნების ჩამონათვალს, სადაც საქართველომ მიმდინარე წელს ცოცხალი თხები და ცხვრები გაყიდა:

- საუდის არაბეთი - 2.5 მლნ აშშ დოლარი, 556.3 ტონა;
- აზერბაიჯანი - 1.4 მლნ აშშ დოლარი, 509.9 ტონა;
- იორდანია - 1.1 მლნ აშშ დოლარი, 473 ტონა;
- ეგვიპტე - 1.9 მლნ აშშ დოლარი, 350.2 ტონა;
- ყატარი - 100 ათასი აშშ დოლარი, 24 ტონა;

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, გასაღების ერთ-ერთი მთავარი ბაზარი ქუვეითი იყო, რომელიც წელს, ჩამონათვალში საერთოდ აღარ არის.

ცხვარიჭამიაში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

ცხვარიჭამიაში 20 წლის კაცის მკვლელობას ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ახალგაზრდა კაცის მკვლელობის საქმეზე პოლიციამ შვიდი ადამიანი დააკავა. ამ ეტაპზე არ არის ცნობილი, არის თუ არა დაკავებულთა შორის უშუალოდ ის ადამიანი, რომელსაც გამოძიება განზრახ მკვლელობას ედავება.

დაკავებულები არიან ის ადამიანები, რომლებიც მკვლელობის დღეს, დაბადების დღის წვეულებაზე იყვნენ.



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD



„ღღეს საქართველო ღღეს სერიოზული კრიზისის წინაშე“... განახლებადი ენერჯია და მილევადი ენერგორესურსები

სოფელ ფიროსმანში, სურსათის მალაზიის მფლობელი ნელინაძე ელენე-ქეტოენერჯის გადასახადის სახით 5 000 ლარს იხდის. ეს მისთვის მნიშვნელოვანი თანხაა, რადგან მალაზიას არცთუ დიდი ბრუნვა აქვს. ამიტომ ფიროსმანში მცხოვრები მცირე მენარმეები და მოსახლეობის ნაწილი განახლებადი ენერჯის შესაძლო დანერგვის შესაძლებლობას სიხარულით შეხვდნენ.



28 ივლისს, დედოფლისწყაროში, ადგილობრივ ფერმერებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელიც დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის პარტნიორი ორგანიზაციის „მწვანე რეგიონები“ ექსპერტებმა - რუსუდან სიმონიძემ და ამთანაილ გელაძემ ჩაატარეს.

მათ ისაუბრეს საქართველოში კლიმატის ცვლილებაზე, არსებულ გამოწვევებსა და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებზე. კლიმატის ცვლილებისა და მილევადი ენერჯიების ფონზე აუცილებელი გახდა განახლებადი ენერჯიების დანერგვა. ეს მთელ მსოფლიოში აქტუალური თემაა. კლიმატის ცვლილება შეეხო საქართველოსაც და მისი წევატიური შედეგები უკვე აისახა. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზიანი ქვეყანაა. გამორჩეულია ამ მხრივ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. „365 დღიდან აქ მზიანი დღეების ხანგრძლივობა 280-300 დღემდე მერყეობს, ამიტომ ჰელიოსისტემების დანერგვა დედოფლისწყაროში ყველაზე ეფექტური იქნება“-ამბობენ სპეციალისტები.

რა მდგომარეობაა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოში?

რუსუდან სიმონიძე: „საქართველოში კლიმატის ცვლილების ნიშნები მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან შეიმჩნევა. სურათი განსხვავებულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიერ საქართველოსათვის მონოდეტულ მეორე ეროვნულ შეტყობინებაში კლიმატურ პარამეტრებში ცვლილებების ტენდენციები მოცემულია ორ პერიოდში - 1955-1970 და 1990-2005 წლებში. დასავლეთ საქართველოში პირველიდან მეორე პერიოდამდე საშუალო ტემპერატურამ მოიმატა 0,50°C-ით, ხოლო ნალექთა წლიური ჯამი შემცირდა 27 მმ-ით; აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო წლიური ტემპერატურა გაიზარდა 0,70°C-ით, ხოლო ნალექთა წლიური ჯამი გაიზარდა 41 მმ-ით.

გარდა იმისა, რომ თბილისში აღინიშნება აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი კლიმატის ცვლილების ზოგადი ტენდენცია, დედაქალაქში განსაკუთრებით მწვავედ აისახება კლიმატის ცვლილების შედეგები, რაც გამოწვეულია ურბანიზაციით, თბური ტალღებისგან გამომწვეული „კუჩქის ეფექტით“ (მაღალი ტემპერატურის პირობებში ასფალტის, შენობების მიერ ხდება სითბოს შთანთქმა, რაც ქალაქის „გაფარვარებას“ და სითბოს შენარჩუნებას იწვევს მზის ჩასვლის შემდეგაც).

„ღღეს საქართველო ღღეს სერიოზული კრიზისის წინაშე, ჩვენ ვართ ენერგეტიკულად უზარბაძისი ქვეყანა-ჩვენ ვართ საფრთხის წინაშე, რომ გულე ალარ გვემნება ენერგორესურსები“-ასე დაინყო თავისი გამოსვლა ავთანდილ გელაძემ. მან მიმოიხილა საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი და აღნიშნა, რომ ოფიციალური მონაცემების მიხედვით, სამჯერ მეტ ენერჯიას ვყიდულობთ, ვიდრე ვანარმოებთ. მართო სოციალურ გაზში ბუჯეტი იხდის 300 მილიონ ლარზე მეტს-ეს ციფრებიც მეტყველებს იმაზე, თუ რა ძვირი უჯდება ქვეყანას ენერგომომარაგება.

„ქვეყანაში წლების მიხედვით მცირდება საკუთარი ენერჯის გამოუმუშავება, მცირდება ექსპორტიც-თითქმის ველარაფერს ვყიდით, ხოლო ამის პროპორციულად იზრდება იმპორტი. ერთი სიტყვით, ენერგეტიკული ბალანსი ქვეყანაში საგანგაშოა“-აღნიშნა ავთანდილ გელაძემ და მზის პანელების დამონტაჟების, როგორც მომავლის ენერჯიის წყაროს აუცილებლობაზე ისაუბრა.

სემინარი დიალოგის რეჟიმში წარიმართა. ექსპერტებმა უპასუხეს ადგილობრივი



ბიზნესმენებისა და ფერმერების კითხვებს. სემინარის დასასრულ, ყველა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განახლებადი ენერჯიების დანერგვა გარდაუვალი და აუცილებელი ფაქტორია, როგორც კლიმატის ცვლილების შესარბილებლად, ასევე საქართველოს ენერგეტიკის გადასარჩენად, მაგრამ ამისთვის სახელმწიფოს ნებაა საჭირო, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში განახლებადი ენერჯის წყარო მასობრივი ვერ გახდება და მხოლოდ ერთეული შემთხვევებით შემოიფარგლება, რაც, ბუნებრივია, რეალურ შედეგს ვერ დადებს.

ტრენინგი ჩატარდა პროექტის „ინოვაციური მიდგომები-სათემო განახლებადი ენერჯიის ოაზისები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში“ ეგიდით, რომელსაც „მზის პანელების პროექტი შინამეურნეობისთვის“ ფარგლებში დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი ახორციელებს.

ინგა შილაშვილი



კახეთის ნავთობის ისტორიიდან

პირველი წერილობითი წყარო, რომელიც მოიხსენიებს ქართული ნავთობი, ეს არის ცნობილი ვენეციელი ვაჭრის მარკო პოლოს წიგნი „მოგზაურობა ჩინეთში“ (მე-13 ს. 2 ნახ.), სადაც წერს: „ხოლო (სომხეთის) ჩრდილოეთით ძვეს იგი გეორგიანა, ადგილი შესანიშნავი წყაროებით, რომლებიდანაც მოედინება ზეთისმაგვარი პეტროლიუმის სითხე, რომლებსაც წვევენ ლამფებში და იყენებენ როგორც საკმაოდ სასარგებლო საშუალებას ბევრი ავადმყოფობის დროს. მეზობელი ქვეყნებიდან ამ სითხისათვის ბევრი ვაჭარი მოდის, ხოლო ეს წყაროები ისე სწრაფად მოედინებიან, რომ იმით ტვირთავენ აქლემებს და მიიქვთ მეზობელ რაიონებში“.

საქართველოში ნავთობის ყველაზე ძველ საბადოებად ითვლება: ნავთულის, შირაქის და ელდარის ნავთობის წყაროები.

1825 წელს ცარსკიე კოლოდეცში (ახლანდელი დედოფლისწყარო) ჩამოვიდა გერმანელი მეცნიერ-ბუნებისმეტყველი ედუარდ ეიხვალდი. ადგილმდებარეობის გაცნობის შემდეგ მეცნიერის ყურადღება მიიპყრო მლაშე ტბამ მირზაათან, რომელშიც აღმოაჩინა ნავთობის კვალი.

შირაქის ტერიტორიაზე მან მოინახულა ადგილები, რომელიც მინას შვებულება ემჩნეოდა. ნიადაგი იყო გამოფიტული, უნაყოფო და გამოთქვა ვარაუდი ნავთობის მარაგის შესახებ. თუმცა, მისმა აღმოჩენებმა ვერ დაუდო სათავე ნავთობის წარმოებას.

პირველი ცნობა შირაქის ნავთობის შესახებ განეკუთვნება 1845 წელს, როცა ვინმე ისმაილ მაშადი ოლიმ განცხადებით მიმართა კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს ნავთობის მოპოვების მიზნით. ამ მიწების მისთვის გამოყოფისთვის, 1848 წელს, ამიერკავკასიის სახაზინო პალატამ გამოიკვლია ელდარის და შირაქის საბადოები და, გარკვეული ვადით, მიაქირავა კერძო პირებს 1050 მანეთად წელიწადში. ამ საბადოებში 1864 წელს მოქმედი 53 ჭიდან წელიწადში 785 ტონა ნავთობი მოიპოვეს, რასაც ინახავდნენ 17 თიხის ჭურჭელში. აკეთებდნენ მცირე სიღრმის ორმოს და დაგროვილ ნავთობს ტიკებით იღებდნენ. ზოგჯერ ორმოებს 20-30 მეტრამდე აღრმავებდნენ. ამოღებულ ნავთობს მოჰყვებოდა წყალი, რომელსაც მცირე აუზებში აგროვებდნენ, რათა წყლისგან გამოყოფილიყო ნავთობი. წყლისა და ჰაერის ზემოქმედებით ნავთობი ნავთფისად იქცეოდა და ხუფავდა იმ ნახვრეტებს, საიდანაც ნავთობი გადმოდიოდა. პერიოდულად ჭაში ბადიით უშვებდნენ მუშას, რომელიც ხელით გლეჯდა ნავთფისის ქერქებს, მაგრამ 8-10 მეტრ სიღრმეზე მუშაობა შეუძლებელი ხდებოდა, რადგანაც გამოიყოფოდა მხუთავი გაზი. ჭების გათხრა წერაქვით და ნიჩბით ხდებოდა.

ნავთობის მოპოვება განსაკუთრებით გაიზარდა გერმანული ფირმა „სიმენსის“ საქართველოში შემოსვლის შემდეგ.

სიმენსებმა ტფილისის გუბერნიაში ქალაქ კედაბეკთან (რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოქცეული) ააშენეს სპილენძის გადასამუშავებელი ქარხანა, რომლის წარმოების გასაფართოებლად სანავის მეტი რაოდენობა იყო საჭირო.

დენობა იყო საჭირო. გარშემო მდებარე ტყეების მოჭრით ზიანი ადგებოდა ბუნებას, ქალაქი მთიან რეგიონში მდებარეობდა და რკინიგზის ხაზი არ არსებობდა. ბაქოდან ნავთობის გადაზიდვას ორმაგად ართულებდა ქარხნის განვითარებას. ალტერნატიული გზის მოსაძიებლად სიმენსებმა, კავკასიის სამთო ნაწილის სამმართველოს მეშვეობით, კახეთში, კერძოდ დედოფლისწყაროსა და მირზაათანში - ნავთობის საბადოების შესახებ ინფორმაცია მოიპოვეს. ამ საბადოებზე სამუშაოები 1863 წლიდან მიმდინარეობდა ჩილიკოვის ხელმძღვანელობით ხაზინაში 12 000 მანეთის შეტანის სანაცვლოდ და 12 000 ფუთი ნავთობის გამომუშავებით.

სიმენსებმა 1865 წლიდან 12 წლის ვადით შირაქ-ელდარის ნავთობსარეწები კონცესიით აიღეს და პირველი საძიებო საექსპლუატაციო სამუშაოებიც დაიწყეს. სწორედ სიმენსებით იწყება საქართველოში ნავთობის მრეწველობის განვითარება. სიმენსების კლანის უფროსებმა-ვალტერ და ვერნერ სიმენსებმა, ნავთობიანი ადგილები 9 ჯგუფად დაყვეს და გაბურღეს 3 ჭაბურღილი უფრო ადრე, ვიდრე ბაქოში. თითოეული მათგანი ტუმბოების საშუალებით 1.5-2 ბარელ ნავთობს იძლეოდა დღე-ღამეში.


ვალტერ სიმენსმა ნავთობის შესახებ მოახწო აუზები-დიამეტრით 7 მეტრი, სიმაღლით-3,5 მეტრი, შინიდან ცემენტით ამობათქაშებული კედლებით და 96ტ ნავთობის ტევადობით. აუზები



და ჭის პირები ნავთობის აორთქლებისა და წვიმის წყლის ჩადინების საწინააღმდეგოდ იფარებოდა ლულქებით, რომელსაც ზემოდან აყრიდნენ მინას. ჭაბურღილების ბურღვა წარმოებდა მტანგური წესით (სიღრმეული ტუმბოებით ბურღვა). სულ წელიწადში ნავთობის ამოღებამ 30 000 ვედროს მიაღწია.

1869-79წ. შირაქის და ელდარის საბადოებზე მოიპოვეს 12 399 ტონა ნავთობი, გაიბურღა 122 ჭაბურღილი, რომელთა სიღრმე ცვალებადობდა 8-65 მეტრის ფარგლებში და მხოლოდ ერთი მათგანი აღწევდა 107 მეტრს.

ვალტერ სიმენსმა დედოფლისწყაროში მოახწო ფოტოგენის ქარხანა (ფოტოგენი ნიშნავს ნავთობსახდელს) 4 ქვებით. იგი ამუშავდა 1868 წლის სექტემბერში. ქარხანაში გამოხდის პირველად პროდუქტს ნავთი წარმოადგენდა და 8 კაცი ემსახურებოდა. 1869-74 წლებში აქ გადაა-



მუშავეს 6 171 ტონა ნავთობი და მიიღეს 1 221 ტონა ნავთი, 173 ტონა ბენზინი, 144 ტონა მძიმე ზეთი და 3420 ტონა ნარჩენები. სხვაობა გადაამუშავებულ ნავთობსა და მიღებულ პროდუქტებს შორის 1131 ტონა დაიკარგა აორთქლებისა და სხვა მიზეზებით. შემდგომში მათ გამოუშვეს გაზოილი (მძიმე ნავთი), ლიგროინი (მსუბუქი ნავთი). ისინი ატარებდნენ ცდებს გამანათებელი გაზის მიღებაზე.

ნარჩენებისაგან დაამზადეს - ფისი, ყავარი სახურავებისთვის, კოქსი, გუდრონი და ასფალტი. სხვათა შორის, ვერნერ სიმენსი თბილისის გუბერნატორს სთავაზობდა ამ ასფალტით ქალაქის ტროტუარების მოპირკეთებას.

1883-86 წლებში თითოეული ჭაბუ-

მარტო ბაქოში, არამედ თუქურმიშაზედ“. დედოფლისწყაროს მცხოვრებთა შესახებ ილია წერს: „აქაური კაცი მაინც ძალიან ღარიბია და ღარიბი, თუმცა ნიადაგისუფალი სიმდიდრე არ აკლია, აი, თუნდაც ავილოთ თუქურმიშის ნავთი. იყო დრო, აგრძელებს იგი - როცა ნავთის ხმარება სანავად მარტო შეძლებულ ხალხს შეეძლო, მაგრამ დიდი ხანი არ გაივლის, რომ ნავთი სრულიად განდევნის ქონსა და ზეთს, რომლებიც უწინ დიდ პატივში იყო“.

მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, თითქოს ნავთობის რაოდენობა მინის ნიაღში თანდათან იკლებდა, ილია ასე ეხმაურება: „თუნდაც ასე იყოს, ჩვენს ქვეყანაში ნავთი მაინც არ შეწყდება და ახლა თითქმის უქმად მყოფი ადგილები ნავთისა თუქურმიშაზედ, ნავთულსა და სხვაგან, ბევრგან გზას გაიხსნის ბაზრისათვის. შავი ნავთი მიღებით შეერთებული იქნება ბაქოდან მომდინარე იმ მილთან, რომელიც შავ ზღვამდე არის ჩადენილი“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1926 წელს, მირზაათანის საბადო კონცესიის წესით გადაეცა იტალია-ბელგიის სამთო-სამრეწველო საზოგადოებას. ამ საზოგადოებამ საკონცესიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სამუშაოების მოცულობების შესახებ არ შეასრულა, რის გამოც იგი გაუქმდა და ღრმა ჭაბურღილის გაყვანა დაუმთავრებელი დარჩა.

1929 წელს ჩამოყალიბდა ტრესტი „საქნავთი“. ტრესტის წითელწყაროს ფილიალმა ბინა დაიდო დღევანდელი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობაში.

დიდი სამამულო ომის წლებში ღრმა საძიებო ბურღვა შეწყდა საქართველოს მთელი მასშტაბით, გარდა მირზაათანისა და პატარა შირაქის საბადოებისა. მირზაათანის ნავთობსახდელი ქარხნიდან ნავთობპროდუქტები ავტოციტერნებით პირდაპირ ფრონტზე მიდიოდა.

მე-20 საუკუნის ბოლოს კახეთის ტერიტორიაზე ფეხი მოიკიდა მსოფლიოში კარგად ცნობილმა ამერიკულმა ნავთობკომპანია „ფრონტერამ“.

ნავთობის საბადოზე მუშაობის საწარმოებლად 1998 წელს შექმნილია საწარმო „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“, რომელიც რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონში.

კომპანია მწარე ხეზე მოიპოვებდა მძიმე ნავთობს, ტარიზანში მსუბუქ, ხოლო ნაზარლებში საშუალო ნავთობს. 2006 წელს კომპანიამ მოახდინა 100 000 დოლარის ინვესტირება.

ფრონტერას შიდა-პრაზიციენტმა ჯეფ მორბანტა ლარამ ასე განაცხადა: „საქართველო არ არის ქუვიტი, არც აზერბაიჯანი. ეს არის საქართველო, რომელსაც დიდი რაოდენობით ნავთობი აქვს“. თუმცა, „ფრონტერა ისტარნ ჯორჯიასთან“ თანამშრომლობამ ბოლომდე ვერ გაამართლა. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე სახელმწიფოსა და კომპანიის შორის წარმოშობილმა შეშუთხანებულობამ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში გადაინაცვლა. დღეის მდგომარეობით კომპანიის სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ განაგებს კომპანია ინვესტორის მოლოდინში.

დალი ბაღაშვილი, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი



„ერთობლივად ვიმსჯელოთ პრობლემის ჰუმანური გზებით მოგვარებაზე“...

მიუსაფარ ცხოველთა მართვის კახეთის სააგენტომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან უპატრონო ძაღლების დამუშავების სტატისტიკა მოგვანოდა. გაირკვა, რომ მხოლოდ წელს დედოფლისწყაროდან წაყვანილ 173 უპატრონო ძაღლს ჩაუტარდა სტერილიზაცია, კასტრაცია და სხვა სახის სამედიცინო პროცედურა. როგორც სააგენტოში გაზეთ „შირაქთან“ საუბრობს აცხადებენ, სათანადო დამუშავების შემდეგ ყველა მათგანი დარეგისტრირდა, მიენიჭა ნომერი და პირვანდელ მიკედლების ადგილს დაუბრუნდა.

რეგიონში თანამედროვე სტანდარტების ცხოველთა მართვის ცენტრის მშენებლობა, კახეთის რვავე მუნიციპალიტეტის ერთობლივი დაფინანსებით, გასული წლის ზაფხულში დასრულდა. უკვე რამდენიმე თვეა, გურჯაანში ახლადგახსნილი ცენტრი, კახეთის ყველა მუნიციპალიტეტს ემსახურება. რეგიონში ერთიანი ცენტრის შექმნის აუცილებლობა მას შემდეგ დადასტურდა, როცა გაირკვა, რომ ქუჩის ძაღლების პრობლემის გადაჭრის სხვა ღონისძიებები მრავალი წლის განმავლობაში არაფერს ქმნიდა. გადამწყდა, რომ პრობლემასთან საბრძოლველად კახეთში ჰუმანური და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები დაენერგა.

დედოფლისწყაროელებს ისეთი წლებიც ახსოვთ, როცა ღამით ქუჩის ძაღლებს ხან კერძო პირები, ხანაც კეთილმოწყობის სამსახური უბან-უბან თოფებით ხოცავდა და უპატრონო ძაღლების პრობლემის გადაჭრას ამ გზით ცდილობდა. უფრო მოგვიანებით, ქვეყანაში ძაღლების უფლებადამცველი ორგანიზაციები და ადამიანები მრავალად გამოჩნდნენ და ცხოველებისადმი ჰუმანურ მოპყრობაზე ალაპარაკდნენ. ნელ-ნელა ძაღლებზე ზრუნვა უფრო „მოდური“ გახდა, შეიცვალა მიდგომები და საკანონმდებლო ჩანაწერი. ბოლო წლებში ძაღლების მიმართ სასტიკი მოპყრობის გამო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემთხვევებიც იყო. თუკი ვინმე ძაღლს მოკლავს, ან სცემს, საზოგადოებისა და ტელევიზიების განსჯის საგანი ხდება. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ძაღლების პრობლემა კვლავ მწვავედ დგას.

მოსახლეობაში იყო მოლოდინი, რომ ახლადგახსნილი ცხოველთა მართვის კახეთის სააგენტო ქუჩიდან აყვანილ ძაღლებს ვოლიერებში დატოვებდა, თავად უპატრონოება და უკან აღარ დააბრუნებდა. ამიტომ, ბევრისთვის უკმაყოფილების მიზეზი იყო, როცა ცხოველები უკან დააბრუნეს. ამის გამო, მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ძირადირებული პროექტი ეფექტური არ იქნება.

სააგენტო იმთავითვე განმარტავდა, რომ მათი სამსახური ცხოველთა თავშესაფარი არ არის და მათ ფუნქციებში მხოლოდ სამედიცინო მომსახურების განევა შედის. მათივე მტკიცებით, ვოლიერებიც დროებითი მოთავსების მიზნით აშენდა და არა უპატრონო ცხოველთა საცხოვრებლად. სპეციალისტები განმარტავენ, რომ ქუჩის ძაღ-

ლების გაქრობა წარმოუდგენელია. მთელი რეგიონიდან ამხელა რაოდენობის მანანნალა ძაღლების ცენტრში დატევა ფიზიკურად შეუძლებელია. ამდენად, სახელმწიფოს მთავარი მიდგომაა, ისინი იყვნენ საზოგადოებისთვის უსაფრთხო და სხვადასხვა დაავადებებისგან დაცულები. ამ მიზნებს კი, ახლადშექმნილი სააგენტო მერამდენე თვეა წარმატებით ახორციელებს. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ თუ სააგენტო მანანნალა ძაღლებს უკან აღარ დააბრუნებს, ასეთ შემთხვევაში მათ ადგილს აუცილებლად სხვა ძაღლი დაიკავებს. ასეთია ოთხფეხა მეგობრების ბუნება, რომელთაც ადგილების მონიშვნა ნესად აქვთ.

დედოფლისწყაროელები იმ ფაქტზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ ძაღლების ჯანმრთელობაზე ზრუნვის შემდეგ მათი აგრესიულობაც უნდა შეისწავლონ, რათა სააგენტოს მიერ უკან დაბრუნებული ძაღლებმა ადამიანები არ დაკბინონ.

„წელს სამჯერ დამკბინა ძაღლმა. ზედიზედ უკვე მერამდენედ მომინია სპეციალური აცრების ჩატარება. ცენტრალურ ქუჩებზე ძაღლები ჯგუფ-ჯგუფად დამრინან, ხშირად ისე მოგეპარებინან, ვერც იგრძნობ. ვისაც ქუჩებში ფეხით გვინვეს გადაადგილება და ტრანსპორტი არ გვყავს, ძალიან განაშფოთლებს ვართ. განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეები. ყველა შენუხებული და შეშინებულია ამ პრობლემით. ბევრჯერ ითქვა, ბევრჯერ დაინერა, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. გასაგებია, რომ ცხოველთა სააგენტო უპატრონო ძაღლებს წაიყვანს, დაამუშავებს, შემდეგ იმავე ადგილზე დააბრუნებს და დაავადებული არ იქნება. მაგრამ, არავინ საუბრობს ყველაზე მთავარზე - ერჩიან თუ არა გასტერილებულ-დამუშავებული ძაღლები გამვლელებს და არიან თუ არა აგრესიულები.“

ანუ, მოსახლეობას აშინებს არა მხოლოდ დაავადებების პრევენცია, არამედ დაკბენაც... თუ ქუჩაში ძაღლი დამკბინდა და სახელმწიფო იმით მამშვიდებს, რომ ცოფი, ან სხვა დაავადება არ შეიქმნება, ეს ვერაფერი ნუბაში მოსახლეობისთვის... უნდა ვისაუბროთ იმაზეც, რომ დაკბენაც საფრთხეა.

ამიტომ ქუჩის ძაღლებში უნდა გადაიჭრას, როგორც მათი ჯანმრთელობის საკითხი, ისე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს აგრესიულობას. სახელმწიფო გვეუბნება, რომ ვზრუნავთ მათ დამუშავებაზე, მაგრამ აგრესიულობაზე არაფერი ისმის.“ - აცხადებენ შენუხებული დედოფლისწყაროელები.

რა სისხშირით ჩამოდიან ცხოველთა მართვის სააგენტოს შესაბამისი სპეციალისტები დედოფლისწყაროში და როგორი გრაფიკით ახდენენ მანანნალა ძაღლების დამუშავებას, ამ კითხვებით „შირაქმა“ სააგენტოს წარმომადგენლებს მიმართა. სააგენტოში განმარტავენ, რომ ცხელ ხაზზე შესული ინფორმაციისა და განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით ჩადიან მუნიციპალიტეტებში. ამავეს ამბობენ დედოფლისწყაროს მერიაშიც.

დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი უპატრონო ძაღლების პრობლემის გადაჭრის საკითხში თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობის საკითხზე საუბრობს. ის მიიჩნევს, რომ მო-

სახლეობის თანადგომის გარეშე შედეგის მიღწევა გაჭირდება.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ყოველ გამოძახებაზე რეაგირება ხდება, ჩამოდიან სპეციალისტები, იჭერენ ქუჩის ძაღლებს და გადაჰყავთ გურჯაანში. სამუშაო შეხვედრაზე ვისაუბრეთ მიღწეულ შედეგებზე და ასევე არსებულ ნაკლოვანებებსა თუ გამოწვევებზე. ვცდილობთ, რომ მეტ ეფექტურობას მივაღწიოთ. დადგა საკითხი, რომ ცოტა უჭირთ აგრესიული ძაღლების დაჭერა, მაგრამ ესეც მოგვარებადი პრობლემაა. ამი-



სადაა სახელმწიფოს როლი. გარკვეულ საკითხებს ეს ნესიც დაარეგულირებს და ვითარება ბევრად გაუმჯობესდება.“

კახეთის გუბერნატორი „შირაქთან“ საუბრობს ალნიშნავს, რომ სააგენტო მუშაობის სხვა ეტაპზე გადადის და მომსახურების ნუსხას აფართოებს.

ირაკლი შიომშვილი: „მოგესწენებათ, კახეთში ცხოველთა მართვის სააგენტო გუბერნატორის ადმინისტრაციის და ყველა მუნიციპალიტეტის ჩართულობით დაფუძნდა. შესაბამისად, გვაქვს იმის უფლებამოსილება, რომ პერიოდულად ადგილზე ჩავიდეთ და მის მუშაობას გავეცნობ, შედეგებზე და გამოწვევებზე ვისაუბროთ. ფართო პერსპექტივაში დავინახოთ პროცესი. ასეთი სამუშაო შეხვედრა შედგა ახლაც, ჩემი სურვილი იყო, რომ ყველა მუნიციპალიტეტის მერი დასწრეობდა ამ პროცესს და ასეც მოხდა. ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა მონაკვეთში რა კონკრეტული სერვისები მიანდა სააგენტომ ცალკეულ მუნიციპალიტეტებს. დავთავაზოვეთ და ადგილზე შევაფასეთ ინფრასტრუქტურა, შესაბამისი სპეციალისტების მუშაობის ეფექტურობა, ალნიშნა, რომ საწყის ეტაპზე ეფექტური და ნაყოფიერი აღმოჩნდა. ახლა გადავდივართ მეორე ეტაპზე - დავინახოთ კუთხითაც და სამუშაო პროცესის თვალსაზრისითაც. პირველი პერიოდი იყო უფრო საცდელი-სასწავლო ეტაპი, რომელიც სააგენტოს აღჭურვისა და დაკომპლექტების საშუალებას მოიცავდა. რეგიონი ამ სფეროში პირველ ნაბიჯებს დგამს და რეალობასთან მორგებას ვცდილობთ. დღეისათვის აქ მონვეულნი არიან შესაბამისი სპეციალისტები, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო. უცხოელი სპეციალისტებიც დახმარებას გვინვედნენ ამ პროცესში. მათი მეშვეობითაც მრავალი ოპერაცია, თუ სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. მეორე ეტაპზე გადასვლით ჩვენ შევიძინეთ უკვე სხვა სახის ტექნიკას, ავტომობილებს, სამედიცინო საშუალებებს. განისაზღვრება დავინახოთ სხვა სქემა და დაზუსტდება, კიდევ რა საშუალებებს გვსწევს ეს სააგენტო. ერთი შემთხვევა ითხოვდა, რომ უფრო განვირცობა მათი მომსახურება, რადგან პირველ ეტაპზე რა ღონისძიებებიც გატარდა, პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს საკმარისი არ არის. ყველა მუნიციპალიტეტმა ერთობლივად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მუშაობის მეორე ეტაპზე გადავიდეთ. ახალი ეტაპი სააგენტოს კიდევ უფრო გააძლიერებს და კონკრეტულ შედეგს და ეფექტს ჩვენ მალე ვიხილავთ. ცხადია, პერიოდულად გავრძელდება ამგვარი გასვლითი შეხვედრები, რათა ინფორმაციის გაცვლა მოხდეს რვავე მუნიციპალიტეტს შორის და ერთობლივად ვიმსჯელოთ ამ პრობლემის ჰუმანური გზებით დარეგულირებაზე“.

მისაფარო ცხოველთა მართვის კახეთის ინტეგრირებული სააგენტოს ცხელი ხაზი მოქალაქეებს 24/7 მისახვედრად. ტელ: 555 23 74 14. უპატრონო ძაღლებით შენუხებულ მოქალაქეებს შეუძლიათ ამ ნომერზე დარეკონ და რეაგირება ითხოვონ



ცხოველთა სააგენტოს ცხელი ხაზი: 555 23 74 14

ილია მარტყოფლიძე

საათობრივი ანაზღაურება - გვჭირდება თუ არა ის?

როდესაც ახალ სამუშაოსთვის გასაუბრებაზე მივდივართ, ჩვეულებრივ, არჩევანის გაკეთება არ გვინდობს საათობრივ და ფიქსირებულ ანაზღაურებას შორის. თუ როგორ გადავიწყობთ თქვენი განუყოფელი სამუშაოსთვის, ამას წინასწარ განსაზღვრავს დამსაქმებელი. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ სამუშაოს დათანხმდებით თუ არა, მაგრამ, იშვიათად მიიღებთ გადაწყვეტილებას, თუ როგორ ანაზღაურდება თქვენი შრომა. სამუშაოს მიმდინარეობისთვის კი, ხელფასი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია კონკრეტული სამუშაო პოზიციის არჩევნისას.

ანაზღაურება, თუნდაც არ იყოს მთავარი პრიორიტეტული ელემენტი, ის მაინც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივატორია, რომელიც გვაძლევს ვთქვათ: „კარგი, მე მივინდა აქ მუშაობა“. თქვენს მომავალ დამსაქმებელს შეუძლია შემოგთავაზოთ ხელფასის გაცემის რამდენიმე განსხვავებული გზა:

- * საათობრივი ანაზღაურება;
- * დღიური ხელფასი;
- * ყოველკვირული ხელფასი;
- * ყოველთვიური ხელფასი;
- * წლიური ხელფასი;

თანამედროვე კონსტიტუციებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანაზღაურების სოციალურ ფუნქციას, როგორც მუშაკთა დახმარების, კეთილდღეობისა და წინსვლის საშუალებას. 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23(3) მუხლით გარანტირებულია ყველა დასაქმებულის უფლება, იღებდეს სამართლიან და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც მისთვის და მისი ოჯახისათვის უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას. ანალოგიური ხასიათის დებულება წარმოდგენილია 1966 წლის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლში, რომლის მიხედვითაც აღიარებულია ინდივიდის უფლება, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები, მათ შორის, ანაზღაურება, რომელიც ყველა დასაქმებულისთვის, როგორც მიწიურ, უზრუნველყოფს სამართლიან ხელფასს და მათი და მათი ოჯახების დამაკმაყოფილებელ არსებობას. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) თანაბარი ანაზღაურების შესახებ (No. 100) 1951 წლის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ტერმინი ანაზღაურება გულისხმობს ჩვეულებრივ, ძირითად ან მინიმალურ გასამრჯელოს ან ხელფასს და ნებისმიერ დამატებით სარგებელს, რომელიც წარმოიშობა დასაქმებულების შრომითი ურთიერთობიდან და რომელსაც პირდაპირ ან ირიბად, ნაღდი ანგარიშსწორებით ან ნატურით, დამსაქმებელი უზღის დასაქმებულს. ანაზღაურების გადახდის ვალდებულება დამსაქმებლის ძირითადი ვალდებულებაა. შესრულებული სამუშაოსა და ანაზღაურების ურთიერთგაცვლა არის შრომითი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ნიშანი. სამუშაოს შესრულების ვალდებულება და ანაზღაურების ვალდებულება არის ის ელემენტები, რომელთა გარეშეც შრომითი ურთიერთობა ვერ იარსებებს.

საათობრივი ანაზღაურების სიძველის წინააღმდეგ

სხირად საათობრივი სამუშაოები ასოცირდება მინიმალური ხელფასის მქონე სამუშაოებთან, მაგრამ არსებობს უამრავი საათობრივი სამსახური, რომელიც მოითხოვს უფრო მეტ მოცდილებასა და განათლებას. საათობრივი გადახდა- ეს არის ურთიერთობა დასაქმებულის ანაზღაურებასა და იმ დროს, როცა ის რეალურად მუშაობდა. ეს არის თანხის ოდენობა, რომელიც დარიცხულია, გადახდილი ან მიღებული ყოველი სამუშაო საათის განმავლობაში.

რა განსხვავებაა საათობრივ და სასაათო თანამშრომლებს შორის?

მნიშვნელოვანი განსხვავებაა ანაზღაურებაში საათობრივ და სახელფასო თანამშრომლებს შორის. პირველს, დამსაქმებელი იხდის ყოველი სამუშაო საათის განმავლობაში, ზეგანაკვეთური სამუშაოს ჩათვლით (თუ მათ კვირაში 40 საათზე მეტი გააკეთეს ან სხვა კონტრაქტით). მეორე ჯგუფისთვის ზეგანაკვეთური სამუშაოს გადახდა არც ისე აშკარაა და ეს დამოკიდებულია შიდა ქვეყნის კანონმდებლობაზე. ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ კიდევ ბევრი განსხვავება ამ გადახდის ტიპებს შორის. მოდით შევხედოთ ზოგიერთ მათგანს. საათობრივი ანაზღაურებადი მუშები ანაზღაურდებიან შეთანხმებული საათობრივი განაკვეთის გამრავლებით მოცემულ პერიოდში სამუშაო საათების საერთო რაოდენობაზე (მაგ. თვე, კვირა ან დღე). დაეუფათ, რომ საათობრივი განაკვეთი უდრის 14 აშშ დოლარს და თანამშრომელი მუშაობდა თვეში 120 საათს (ზეგანაკვეთის გარეშე). ასე რომ, ხელფასი ასე გამოიყურება: \$14/საათი * 120 საათი = \$1680. სწორედ ამ კომპენსაციას მიიღებს თანამშრომელი თვის ბოლოს. რამდენს მუშაობს საათობრივი თანამშრომელი? ეს ყოველთვის განსხვავებულია, რადგან მათ ჩვეულებრივ არ აქვთ კვირაში საათების გარანტირებული რაოდენობა და სამუშაო საათები განისაზღვრება ყოველკვირეული გრაფიკით. ის შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცვლის გრაფიკი იცვლება კვირიდან კვირამდე. ამ ტიპის თანამშრომლებს ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ, სულ მცირე, მინიმალური ხელფასით (ოდენობა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით).

დავავიცი და უარყოფითი მხარეები

დასაქმების დადებითი და უარყოფითი მხარეები. როგორც ყოველთვის ორი რამის შედარებისას, თითოეულ მათგანს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, თუ თქვენ ხართ ყოველთვიური ხელფასის თანამშრომელი, შეგიძლიათ დაეყრდნოთ მეტ სოციალურ სარგებელს, როგორცაა ჯანმრთელობის დაზღვევა, მშობლის შევლა და ა.შ. რა თქმა უნდა, სრულ განაკვეთზე სამუშაოები გაცილებით მეტ დროს მოითხოვს, პასუხისმგებლობის დონე უფრო მაღალია, მაგრამ ისინი გთავაზობენ კარიერის განვითარების შესაძლებლობას. ის, რაც შეიძლება მამოტივირებელი იყოს, არის სტაბილურობის გაცემა, ერთი და იგივე თანხის წყალობით, რომელსაც ყოველთვიურად იღებთ. ასეთი სამუშაოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი შეიძლება იყოს ზეგანაკვეთური სამუშაოს არ ანაზღაურება, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ არ მიიღებთ კომპენსაციას რაიმე დამატებითი აქტივობისთვის (მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნებს შორის). საათობრივი თანამშრომელთა ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ თქვენი საათები შეიძლება უფრო მოქნილი იყოს - არა 9-დან 5-მდე, კვირაში 5 დღე, ეს უზრუნველყოფს მეტ თავისუფლებას და შეიძლება გამოიწვიოს დროის უკეთესი მართვა. მეორეს მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ყოველკვირეული ცვლა ძალიან არარეგულარულია, ეს შეიძლება იყოს იმედგამაცრუებელი, რადგან თავს არაორგანიზებულად იგრძნობთ. ამან ასევე შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო საათების რაოდენობის ცვლა კვირაში (თვიურად და ა.შ.). საათობრივი მუშაობისას თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ კიდევ უფრო მეტი, ვიდრე სრულ განაკვეთზე მუშაობისას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბევრ ზეგანაკვეთს დადებთ - თქვენ აგინაზღაურდებით სამუშაოს ყოველი დამატებითი საათი.

სულ ცოტა ხნის წინ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში შესაძლოა, დაუბეგრავი მინიმალური საათობრივი ანაზღაურება დაწესდეს. აღნიშნული საკანონმდებლო ნინადადებით პარლამენტს მოქალაქე მკაცრად მიმდინარეობს მიმართა. როგორც წინადადებაში ვკითხულობთ, მინიმალური საათობრივი ანაზღაურება 5 ლარით უნდა განისაზღვროს, შედეგად თვის განმავლობაში სრული დაუბეგრავი მინიმალური ხელფასი იქნება 800 ლარი. ამასთან, მოქალაქის წინადადება გულისხმობს, რომ პოზიციის იერარქიასთან ერთად მინიმალურ საათობრივი ანაზღაურება უნდა დაემატოს საათში - 1 ლარი. გარდა ამისა, საკანონმდებლო წინადადების თანახმად, უქმე დღეებსა და ღამის ცვლაში (22:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე) მუშაობა უნდა ანაზღაურდეს გაორმაგებული დაუბეგრავი მინიმალური საათობრივი ხელფასით. საკანონმდებლო წინადადე-



ბის განხილვა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს დაევალა, რომელმაც გადაწყვეტილება პარლამენტის ბიუროს უნდა აცნობოს. საქართველოში 2018 წელს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო საათობრივი ანაზღაურება მხოლოდ 2.4 ევრო იყო, მაშინ როდესაც ევროკავშირში ანალოგიური მაჩვენებელი 27.4 ევროს შეადგენდა, ევროზონაში კი, კიდევ უფრო მაღალი - 30.6 ევრო. გამოდის რომ, დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო საათობრივი ანაზღაურება საქართველოში საშუალო ევროპულ დონესთან შედარებით 11.5-ჯერ, ხოლო ევროზონის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით თითქმის 12.9-ჯერ დაბალია. აღნიშნული სხვაობა განპირობებულია დასახელებულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონით და ეროვნული ვალუტის მყიდველობითი უნარიანობის თანასწორობით (პარიტეტით). ამიტომ ექსპერტები, საქართველოში საათობრივ ანაზღაურებაზე გადასვლის იდეას არც წინა წლებში ემხრობოდნენ.

მცირე გამოკითხვამ გამოარკვია, რომ, დამსაქმებლებიც და მომავალი დასაქმებულებიც ჯერ-ჯერობით სკეპტიკურად უყურებენ ანაზღაურების მსგავს პრაქტიკას. დასაქმებულების ნაწილი ფიქრობს, რომ ამ სისტემაზე გადასვლა ქვეყნისთვის სასურველი, მაგრამ არსებული ეკონომიკური მდგომარეობით, ნაადრევია. დამკვიდრების შემთხვევაშიც კი, ისინი გარკვეულ პრობლემებზე საუბრობენ, რომლებიც სამუშაო საათების სწორად და სამართლიანად აღრიცხვას და ღირსეულ ანაზღაურებას ეხება. დამსაქმებლები სწრაფი ეკონომიკური განვითარების, შედეგად წარმოებისა და ბიზნესის ზრდის პარალელურად (რაც გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენასა და კონკურენციის დონის ზრდას) ანაზღაურების ამ ფორმას ადევკვატურად მიიჩნევენ.

როგორც ხედავთ, გვერი ასპექტი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი, რა სახის კონტრაქტი გაქვთ და რას ბთავაზობთ თქვენი დამსაქმებელი კონკრეტულ კომპანიაში. ზოგიერთი ადამიანისთვის ჯანმრთელობის და ზღვივა შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე საშუალო საათობრივი მოქმედება. ზოგიერთი თქვენგანს შეიძლება ურჩევნია მიიღოს იგივე თვიური ხელფასი, ფიქსირებული თანხა, ზოგი კი ამაჯობინებს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, იშვიათად თუ არა მეტ-ნაკლებად მოცემულ თვეში, ფინანსური საჭიროებების შესაბამისად. განიხილეთ ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე, სანამ აირჩევთ ხელფასს და კონკრეტული ტიპის ანაზღაურებადინ დასაქმებას.

მომზადდა
შუშუნა ყანაშვილმა



„იყო დრო, ვაჟას ეზოში შესვლის უფლება არ ჰქონდა“

ვაჟა-ფშაველას დევნილი შთამომავლები: ვინ არიან ისინი და რას ჰყვებიან წარსულსა და ამჟამინდელ ცხოვრებაზე?

„ვაჟა-ფშაველას რომ ცოცხალი იყო, მასაც კი ღაწვანობდნენ“, - ასეთი პასუხი გასცა ბოლშევიკურმა ხალისუფლებამ ქართველი პოეტის დედაბაბის, როდესაც ლევან რაზიკაშვილის შეწყალება ითხოვეს. ლევან რაზიკაშვილი, ვაჟა-ფშაველას უფროსი ვაჟი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეგობარი და თანამოაზრე, ბოლშევიკებმა 1923 წლის თებერვალში დახვრიტეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმთან თანაშრომლობისა და დახმარებისთვის. მისი დახვრიტის შემდეგ, ჩარბლიდან, მამისეული სახლიდან გამოსარს მისი ცოლ-შვილი, დააპატიმრეს მისი სახელი და ხსენება! მისი შვილები, ხალხის მტრის შვილების სახელით იზრდებოდნენ და საკუთარი გვარის ხსენებისას კი ეშინოდნენ! ასე იყო მანამ, ვიდრე ვაჟა-ფშაველას 100 წლის იუბილეზე, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ერთი სანდო მინი ქალბატონი არ გამოეცხადა და განუცხადა, - ლევან რაზიკაშვილის ქალიშვილი ვარ, იუბილეზე მოსანდოვი მეც მიკუთვნის... ათეული წლების დაფარული ამგები ვაჟს მოვახსენებ ასე გახდა ცნობილი ქართული ლიტერატურული ელიტისთვის, ხოლო საზოგადოებამ ლევანის მოვალის არსებობა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან გაიგო...

იქვე ახლოს, მეფუტკრეობას მისდევდა ლევან მთვარელიძეც, ლევანის სიმამრი. სწორედ იქ გაიცნო ლევანმა მომავალი მეუღლე თამარ მთვარელიძე. მაშინვე მოეწონათ ერთმანეთი და ძალიან მალე იქორწინეს. იმ პერიოდში ლევანი გორში მსახურობდა. ამ დროს ვაჟა საავადმყოფოში იწვა და მასთან ჩასულ ლევანს სთხოვა, - „შვილო, იმ კარ-მიდამოს ნუ მიატოვებ, იქაა შენი ფუძეო“. შეისმინა ეს ლევანმა და ვაჟას გარდაცვალების შემდეგ, მოკიდა ცოლ-შვილს ხელი და გადავიდა საცხოვრებლად ჩარბლიში.

1921 წელს მოხდა აჯანყება მთელი საქართველოს მასშტაბით. ეროვნულმა გმირმა, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა შეკრიბა რაზმი და წამოვიდა თავისი შეფიცულებით ჩარბლისკენ. ამ დროს პაპაჩემი იქ მილიციის უფროსად ფშაველების თხოვნით მსახურობდა.

გოღარძი გოღარძიშვილი, ლევან რაზიკაშვილის შვილიშვილი:

- ძალიან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა პაპას. სამართლიანი კაცი იყო და მფარველი ყველასი. ყველამ ვიცით, რომ ქაქუცას მეგობარი იყო ლევანი და როდესაც პაპას მისი დაჭერის ბრძანება მიუღია, ასეთ ხერხს მიმართა: წაიყვანა 10 კაცი არაგვის გაღმა, სადაც ქაქუცა იყო დაბანაკებული და სანამ მიუახლოვდებოდა, შეუთვალა, გამეცალე აქედან, ბრძანება მივიღეო. ქაქუცა ამდგარა, ერთი ბატკანი წამოუყვანია პაპასთან შესახვედრად და კარგადაც

ცოლ-შვილს ვერ დავტოვებო... და დაბრუნდა უკან სახლში. მალევე დაწერა განცხადება სამსახურიდან წამოსვლის შესახებ. ამ ამბიდან დაახლოებით ერთ კვირაში, თავის მეუღლეს, ბებიაჩემს თამარ მთვარელიძეს უთხრა: - „თუ ვინმე მოვიდეს და მიკითხოს, უთხარი, რომ მთაში ზევით ავდივარ სათიბებში და ზუსტად არ იცი, სად ვარო“, და იმ დღეს, როცა გადიოდა სათიბში, ოჯახის წევრებს, ცოლს და დედინაცვალს სთხოვა, თუ ვინმე მოვა, რამენაირად შემატყობინეთ, რომ თავს ვუშვებო. მთაში ბევრი სათიბებია, და თუ კარგად არ იცი ლოკაცია, ვერანაირად ვერ მიაგნებ. სამწუხაროდ, ეს ამბავი გასკდა დედა-შვილი დიდებულელებისაგან. (ლევანის დედინაცვლისაგან და მისი შვილი ვახტანგისაგან). 10 დღის შემდეგ, როდესაც მოვიდნენ ჩეკისტები და იკითხეს-სადაა ლევანიო, სწორედ ვახტანგმა მისწავლა მისი ადგილსამყოფელი.

1923 წელს პაპა ბოლშევიკებმა დახვრიტეს! ამ დროს მისი ცოლ-შვილი ისევ ჩარბლში იყო, მაგრამ ძალიან დაეძაბათ ურთიერთობა ვაჟას ცოლთან თამარ დიდებულთან. გაუსაძლისი რომ გახდა იმ სახლში გაჩერება, ლევანის ცოლის ძმამ, იოსებმა, სასწრაფოდ ჩამოიყვანა გორში ბებია, შვილებთან ერთად.

გოღარძი გოღარძიშვილი:

- გორში ეს სახლი ჯერ არ არსებობდა. იყვნენ შეფარებული სხვასთან. სადაც ეძინათ, წვიმა ჩამოდიოდა. გამოჩნდა ადამიანი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ლევანის ცოლ-შვილის სახლის მშენებლობას და ეს პატარა 2-ოთახიანი სახლი აუშენა. ისტორიული სახლია, ბევრი სიდუხჭირის და სიმწრის მომსწრე...

თამარიკო რაზიკაშვილი, ლევანის შვილიშვილი:


- არანაირი პრივილეგიებით არ სარგებლობდა არც მამა და არც ჩვენი ოჯახი. არავისთვის არაფერი არ უთხოვიათ. მაგალითად, როცა ვცხოვრობდით ბარაკებში და რიგდებოდა ბინები, არავის უფიქრია იმაზე, რომ, აი, ეს არის ვაჟა-ფშაველას შთამომავალი და პირველ რიგში მას უნდა მივცეთ ბინაო. არა! სხვებს აძლევდნენ, ლუკა რჩებოდა. მაგრამ მაინც საზღვრებით მინდა ვთქვა, დიდ, გასაოცარ გრძნობასთან ერთად, ჩემი ოჯახის მხრიდან, დიდი პატივი და პასუხისმგებლობა იყო რაზიკაშვილი. თუმცა, რაზიკაშვილობა დიდი ტვირთიც არის, მე ამას მოგვიანებით მივხვდი. იყო პერიოდი, როცა ამ გვარის ხსენებაც კი გვეკრძალებოდა. მამა ასაკში დაემგვანა პაპას. უყვარდა ზეპირსიტყვიერება. ვაჟას უამრავი ლექსი იცოდა ზეპირად. თავადაც წერდა... საღამოობით აიღებდა ფანდურს და პაპის ლექსებზე სასიამოვნოდ აღილინდებოდა. განსაკუთრებით უყვარდა „იას უთხარით ტურფასა“.

გოღარძი გოღარძიშვილი:

- ბავშვობაში არ მქონდა ისეთი შეგრძნება, რომ მე ასეთი დიდი წინაპრების შთამომავალი ვიყავი, მაგრამ როდესაც ერთხელ სკოლიდან გავიპარეთ შატალოზე, მალევე დაგვაბრუნეს და პირდაპირ შეგვიყვანეს დირექტორთან. დირექტორის გვარი, ახლაც მახსოვს - ძველაია. მან ცალკე გამიყვანა და მითხრა: „შვილო, შენ ისეთი წინაპრების შთამომავალი ხარ, არ უნდა გააკეთო ეგეთი რამეო“. აი, მაშინ ვიგრძენი პირველად სიამაყის მსგავსი განცდა.

ლევან გოღარძიშვილი:

- ლამაზი და მშვენიერი დასაძინებლად, არ არსებობს პაპაჩემზე არ ვიფიქრო. დედაჩემიც, დედაჩემიც და ბიძაჩემიც, სულ იმის დარღობა და ბიძაჩემიც, რომ მისი საფლავი არაფერ იცოდა...



შეშინებული იყო ბებია: წელიწადნახევარი ბარგი ჰქონდა შეკრული, იძახდა, - ერთხელაც დამიძახებენ და გადამასახლებენ აქედანო. ძალიან დიდი გაჭირვება გამოიარეს. ბებიაჩემი საკონსერვო ქარხანაში მუშაობდა ორი ცვლა. ეს ბინაც მაშინ აშენდა, ქორწილის საჩუქრები ჰქონდა ბებიას, მათ შორის ვაჟას ნაჩუქარი ოქროს საათი. და ასე ადამიანების დახმარებით, ნელ-ნელა ჯერ ერთი ოთახი ააშენეს და შემდეგ მეორე ოთახიც გააკეთეს.

წინო რაზიკაშვილი, ლევანის შვილიშვილი:

- მამაჩემი ძალიან განიცდიდა ჩუმად რომ იყო. ის ვერასოდეს ვერ მივიდოდა ვახტანგთან, რადგან იყო დრო, არცერთ რაზიკაშვილს ამ ეზოში შესვლის უფლება არ ჰქონდა. არავითარი შეხება არ გვექონია. 1972 წელს დაანგრეს ვაჟა-ფშაველას სახლი და ააშენეს ეს, რასაც ეხლა ხედავთ. მუშები რომ მოიყვანეს, ვაჟას სახლის დასანგრევად, თვითონ მუშები ტიროდნენ, ამ სახლს ვინ დააგნრევდა, როგორ შეიძლებოდა ამის ხელის ხლებაო...

თამარიკო რაზიკაშვილი:

- ასე რომ, საზოგადოებამ არ იცოდა, რომ გორში ცხოვრობდნენ ვაჟა-ფშაველას შვილიშვილები. პირველი „ვაჟაობა“ რომ ჩატარდა, 100 წლის იუბილე, მაშინ მივხვდი, რომ ჩვენ რაღაცას წარმოვადგენდით.

გოღარძი გოღარძიშვილი:

- ბავშვობაში არ მქონდა ისეთი შეგრძნება, რომ მე ასეთი დიდი წინაპრების შთამომავალი ვიყავი, მაგრამ როდესაც ერთხელ სკოლიდან გავიპარეთ შატალოზე, მალევე დაგვაბრუნეს და პირდაპირ შეგვიყვანეს დირექტორთან. დირექტორის გვარი, ახლაც მახსოვს - ძველაია. მან ცალკე გამიყვანა და მითხრა: „შვილო, შენ ისეთი წინაპრების შთამომავალი ხარ, არ უნდა გააკეთო ეგეთი რამეო“. აი, მაშინ ვიგრძენი პირველად სიამაყის მსგავსი განცდა.

ლევან გოღარძიშვილი:

- ლამაზი და მშვენიერი დასაძინებლად, არ არსებობს პაპაჩემზე არ ვიფიქრო. დედაჩემიც, დედაჩემიც და ბიძაჩემიც, სულ იმის დარღობა და ბიძაჩემიც, რომ მისი საფლავი არაფერ იცოდა...



დღეს, ლევან რაზიკაშვილის შვილიშვილები გორში ცხოვრობენ, გულით ატარებენ იმ საშინელი ათწლეულების თავგადასავლებს და ტკივილს, როცა მათ არსებობას და ცხოვრებას შავი ყორანივით თან სდევდა შიში და დავინყების ტკივილი.

ლევან გოღარძიშვილი, ვაჟა-ფშაველას შვილთაშვილი, ლევან რაზიკაშვილის შვილიშვილი:

- მე გახლავართ, ლევან რაზიკაშვილის, ვაჟა-ფშაველას შვილის - ვაჟის შვილიშვილი. როგორც ვიცი, ვაჟას ძალიან უყვარდა პაპაჩემი... ლევანი გორში პირველად, მისმა ბიძამ, თედომ ჩამოიყვანა, რომელიც იმ დროს მისდევდა მეფუტკრეობას.

უქეფიფათ და დამშვიდობებისას თავის თეთრი ნაბადიც კი აჩუქა, რომელზეც შიგნიდან ამოტვიფრული იყო ინიციალებით: ქ და ჩ. როგორც ჩანს, ამ 10 კაციდან აღმოჩნდა ერთ-ერთი, ვინც ეს ამბავი გარეთ გამოიტანა.

ლევან გოღარძიშვილი:

- ისე მოხდა, რომ ჩეკისტებმა მოაქციეს ალყაში ქაქუცა, მაგრამ პაპამ გადაარჩინა, გაარღვია ეს ჩეკისტები და აფხუმოს გავლით, უცნობი ბილიკებით გააპარა ჩარბლიდან ქაქუცა და გადაიყვანა პანკისის ხეობაში. როცა შორდებოდნენ, ქაქუცამ ლევანს სთხოვა, - წამოდი ჩვენთან, შენ აქ არ მოგასვენებენ, პროვოკაციას მოგინფობენ და დაგლუპავენო. მაგრამ პაპამ უარი უთხრა,

სპორტი

ბადმინტონი სკოლებში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში სპორტის ისეთი სახეობების განვითარებაზე ზრუნვა დაიწყო, რომელიც მანამდე არ ისწავლებოდა. ერთ-ერთი ასეთია ბადმინტონი, რისი სწავლებაც სოფელ ზემო მაჩხაანში უკვე მომდინარეობს. პირველ ეტაპზე შესაბამისი მასწავლებლების გადამზადება ხდება, რომლებიც თავის მხრივ მოსწავლეებთან იმუშავენ. სექტემბრიდან კი, სასწავლო პროცესის აღდგენის შემდეგ, ბადმინტონის შესწავლა ნებისმიერ მსურველს უსასყიდლოდ შეეძლება. მისასალმებელი და მისაბაძია, როცა ამგვარი სასარგებლო ინიციატივები საზოგადოების მხრიდან მოდის. გადამზადების პროცესში თბილისიდან ჩამოსული კვალიფიციური სპეციალისტები ჩაერთვნენ. ბადმინტონის ფედერაციის ხელშეწყობით კი იდეა საქმედ იქცა.

ინიციატივა არბოშიკელ კაცს ეკუთვნის, რომელიც თბილისში ცხოვრობს და მოღვაწეობს, თუმცა მშობლიურ კუთხეს მაინც არ ივიწყებს და სურს საკუთარი წვლილი შეიტანოს დედოფლისწყაროში სპორტის ამ სახეობის განვითარების საქმეში. როგორც ბიჭიკო მაჩაბლიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, პრაქტიკული გამოცდილების უშუალოდ გაზიარების გარდა, ბადმინტონის სათამაშოდ საჭირო შესაბამისი ინვენტარი ზემო მაჩხაანის სკოლას საჩუქრად თავადვე გადასცა.

ბიჭიკო მაჩაბლიშვილი: „წარმოშობით სოფელ არბოშიკიდან ვარ, მაგრამ თბილისის მაცხოვრებელი. ბადმინტონის ეროვნული ფედერაციის წევრი ვარ, მწვრთნელი. ასევე სპორტული კლუბ „არნივის“ პრეზიდენტი. სპორტის დამსახურებული მუშაკი, სერტიფიცირებული პედაგოგი. ამავე დროს ვმუშაობ ქალაქ თბილისის №147-ე სკოლის სპორტის მასწავლებლად, გაზრდილი მყავს საქართველოს პრიზიორები, საქართველოს მრავალი ჩემპიონი და ნაკრების წევრი. უკვე ასაკში ვარ და არ მინდა, ისე წავიდე ამ წუთისოფლიდან, რომ რამით არ დავეხმარო ჩემს მშობლიურ კუთხეს. ეს ჩემი მრავალწლიანი ოცნებაა. მინდა დედოფლისწყაროშიც ავალორძინო ბადმინტონი. დიდი ხანია ვფიქროვ, მაგრამ პანდემიის გამო ცოტა გაჭიანურდა. ხშირად ჩამოვდივარ დედოფლისწყაროში, ზაფხულს თითქმის მთლიანად არბოშიკში ვატარებ. არდადეგების პერიოდში თავისუფალი დროის ნაყოფიერად და სასარგებლოდ გამოყენებაზე დიდი ხანია ვფიქრობ. წინა წლებში არ მოხერხდა, რომ მსგავსი ტრენინგი ჩამეტარებინა ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ამჯერად შევხვდი დედოფლისწყაროს სპორტის ცენტრის ხელმძღვანელს, აკაკი ნატროშვილს, ჩემი გეგმები და მიზნები გავაცანი. მან მითხრა,



რომ ქალაქში მდებარე სპორტის დარბაზში თავისუფალი დრო არ არის. საერთოდ, ამ სპორტს სჭირდება უფრო მაღალჭერიანი დარბაზი. როგორც ამხსენს, ასეთებია ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და №2 საჯარო, ასევე არბოშიკისა და ზემო მაჩხაანის სკოლის სპორტული დარბაზები. არბოშიკში საერთოდ არ შემოშვებს დარბაზის დასათავსიერებლად. სპორტის მასწავლებელმა ასე მითხრა, ზაფხულობით გასაღებს დირექტორს ვაბარებთ... სპორტის მასწავლებელი, სამუხაროდ, შემოდგომაზე კოვიდით გარდაიცვალა, ამიტომ, ამ თემაზე მეტად აღარ მსურს საუბარი. ვერავის შევხვებინებ. სიკეთე მარტივია! მინდა, ჩემი ცოდნა ჩემს კუთხეს როგორმე მოვასმარო ცოდნა და გამოცდილება. დარჩა მხოლოდ მაჩხაანი, რომელსაც ყველაზე ახლადამეზობელი, თანამედროვე სტანდარტების მქონე შენობა და დარბაზი აქვს. ვინაიდან დირექტორი აღმოჩნდა არბოშიკელთა რძალი, მივედი პირდაპირ ქალბატონ მაია ხუნაშვილთან, რომელმაც ყურადღებით მომისმინა და

დახმარება აღმოთქვა. იანვარში, ზამთრის არდადეგების პერიოდში ზემო მაჩხაანის სკოლის სპორტულ დარბაზში დავხაზეთ ორი მოედანი და დავპირდი, რომ ზაფხულში ჩავატარებდი ტრენინგებს, როგორც ბავშვებთან, ისე პედაგოგებთან. მე ჩემი მიცემული პირობა შევასრულე და საჩუქრად, ჩვენი კლუბის სახელით, სკოლას გადავეცი ბაღი, ჩოგნები და ვალანები. იმედია, სხვა დაინტერესებული მხარეებიც შემოგვიერთდებიან. სწავლის დაწყებისთანავე მაჩხაანში პროცესი დაიწყება და ჩვენს კლუბთან ერთად მაჩხაანელი ბადმინტონისტებიც გამოვლენ შეჯიბრზე, ცხადია, ჩვენი კლუბის სახელით. უპირველესად, მადლობა მინდა გადავუხადო სკოლის სპორტის მასწავლებელს თუა ქენტაძეს, რომელიც ბავშვებთან ერთად უფლება ბადმინტონის პროფესიას. სულ 8 ბავშვია, 3 ბიჭი და 5 გოგო. იმედი მაქვს, ნაყოფიერი და წარმატებული იქნება ჩვენი ერთობლივი მუშაობა.“

ილია მარტყოფლიშვილი



დიდი მაცხტროს ვარსკვლავი

ჩემი

გამოჩენილი ქართველი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი იუბილარია. მას 60 წელი შეუსრულდა. იგი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი დირიჟორი გახლავთ.

9 ივლისს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გაიმართა ლეგენდარული ჯაკომო პუჩინის „მანონ ლესკოს“ პრემიერა, რომლის დამდგმელი დირიჟორია იუბილარი მაცხტრო. თეატრის 170-ე სეზონის ეს შესანიშნავი პრემიერა და ზაზა აზმაიფარაშვილის იუბილე იმითაც იყო გამორჩეული, რომ სახელგანთქმულ დირიჟორს დაუფასდა ტიტანური შრომა, ღვაწლი ქართული საოპერო თეატრის წინაშე და მადლიერმა საზოგადოებამ მისი სახელობის ვარსკვლავი გახსნა. კომენტარი ვთხოვე ზაზა აზმაიფარაშვილის კოლეგებს და მის უახლოეს მეგობრებს:

ბობი ჭიჭინაძე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის გამგე, სრული პროფესორი, პოლონეთის ბალეტის სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი: „თბილისში პუჩინის ოპერა „მანონ ლესკო“ პირველად დაიდგა 1896-1897 წელს „სახაზინო“ თეატრში და ძალიან დიდი წარმატება ხვდა წილად. ამ საღამოსაც ამ ოპერამ აღმაფართოვანა, რომლის სულის ჩამდგმელია ნამდვილად დიდი მუსიკოსი ბატონი ზაზა აზმაიფარაშვილი და ბედნიერი ვარ, რომ დღეს ხდება მისი შემოქმედების ოფიციალური აღიარება-ვარსკვლავის გახსნა.“

რაზო ტაპიძე, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირიჟორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, „მეტრის“ ნომინანტი და „მსოფლიოს ცოცხალი განძის“ ტიტულის ნოდების მფლობელი: „ბატონი ზაზა ჯერ დიდი ადამიანია და შემდეგ დიდი დირიჟორი. მას განხორციელებული აქვს 28 საოპერო პრემიერა. 1980 წლიდან დღემდე თანამშრომლობს ქართველ და მსოფლიოში სახელგანთქმულ უცხოელ შემსრულებლებთან. 2016 წლიდან იგი გახლავთ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი დირიჟორი, 170-ე სეზონის ბოლოს უძლიერესი და უმშვენიერესი იტალიური და ქართული საოპერო ხელოვნების ბრწყინვალე სპექტაკლის „მანონ ლესკოს“ დასრულების შემდეგ, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის ზაზა აზმაიფარაშვილს, მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა! ჩემო ზაზა, ვამაყობ შენთან მეგობრობით!“

ნათილა შანტიაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზანტიანოლოგთა ეროვნული კავშირის დამაარსებელი და ვიცე პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი ისტორიის დარგში: „ბედნიერი ადამიანი ვარ, რადგან შევიტყვე რომ ჩემს სიტყვას დაბეჭდავენ ჩემი მშობლიური კუთხის, ჩემი წინაპრების სათაყვანებელი კახეთის მხარის

გაზეთ „შირაქში“. ბედნიერი ვარ კიდევ იმით, რომ მინდა ცოტა რამ მოვასხენოთ გამოჩენილი ქართველი მუსიკოსის ზაზა აზმაიფარაშვილის შესახებ, რომელსაც სულ ახლახანს შეუსრულდა 60 წელი. ბედნიერება წილად მხვდა არა მხოლოდ მე, არამედ ჩემს შვილებსაც. დიდად სამწუხაროდ, ამ სიხარულს ვერ მოვხსნო ჩემი მეუღლე, გიზო ჟორდანიას, ზაზას მამის - გივი აზმაიფარაშვილის დიდი მეგობარი. ისინი ერთად მოღვაწეობდნენ არა მარტო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, არამედ ევროპაში, იმდროინდელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზაარის მხარის დელაუტაქის, ზაარბრიუკენის საოპერო თეატრში. არავინ იუცხოებს თუ გავიმეორებ ქვემოთი პროფესიონალის, შესანიშნავი ადამიანის ბატონი გოგი ჭიჭინაძის სიტყვებს: „ზაზა ნამდვილი, დიდი მუსიკოსია“. საყოველთაოდ ცნობილია, როგორი მუსიკოსი იყო გივი აზმაიფარაშვილი, განათლებული და ინტელიგენტი, მაგრამ მე მინდა ვახსენო ზაზას და მისი არაჩვეულებრივი ძმის ლეოს გამზრდელი დედა ქალბატონი ლიანა გომელაური, გენიალური ქართველი მსახიობების ალექსანდრე გომელაურის და მერი დავითაშვილის შვილი, რომელიც უზომოდ არის გახარებული დღეს. თუ რამ არტისტულია ზაზაში, ნამდვილად არის არა მხოლოდ მამისაგან, არამედ მისი ძვირფასი წინაპრებისაგან. ერთ დღეს სანქტ-პეტერბურგში დეიდასთან ერთად ვიყავი არაჩვეულებრივ, კლასიკური მუსიკის

კონცერტზე ფილარმონიაში, ანტრატქის დროს შეგვხვდა ახლგაზრდა მორიდებული ქართველი ყმაწვილი-ზაზა აზმაიფარაშვილი, რომელსაც რასაკვირველია სიხარულით შევხვდით. აღმოჩნდა რომ ზაზა ჩარიცხულია სანქტ-პეტერბურგის კონსერვატორიის ასპირანტურაში, თანამედროვეობის გენიალურ დირექტორთან ევგენი მრავინსკისთან, მე მამის გავიფიქრე: „ღმერთო, გაუმართლე ზაზას!“ და იმ დღეს, ჩემი სურვილი ქვემოთადაც ახდა.“

ბიბი თიშუაძე, თბილისის რუსთაველის სახელმწიფო თეატრის დირექტორი: „რუსთაველის თეატრის სახელით მთელი სულითა და გულით ვულოცავ ბრწყინვალე დირიჟორს ზაზა აზმაიფარაშვილს სახელოვან იუბილეს და ვარსკვლავის გახსნას.“

პრემიერის დასრულების შემდეგ ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელმა ბადრი მაისურაძემ მადლობა გადაუხადა 170-ე სეზონში დადგმულ საოპერო და საბალეტო სპექტაკლებში მონაწილე დასის წევრებს, ორკესტრს, გუნდს, ყველას, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ამა თუ იმ სპექტაკლის განხორციელება. და, რაც მთავარია, ოპერისა და ბალეტის ერთგულ მყურებელს. შემდეგ კი სცენაზე მოიხვია ზაზა აზმაიფარაშვილი და „მრავალყამიერის“ და ფოიერვერკის ფონზე გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.

ნანა ჭიჭინაძე, ოპერის მეგობარი, საქართველოს დამსახურებული ყურნალისტი

ამინდი		დედოფლისწყარო		კვირა	
ორშაბათი 01.08	სამშაბათი 02.08	ოთხშაბათი 03.08	ხუთშაბათი 04.08	პარასკევი 05.08	შაბათი 06.08
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
31°	19°	31°	19°	27°	17°
კვირა 07.08					
დღე	ღამე				
27°	17°				

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შ.შ.შ.შ.ნა ხანაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ხანაშვილი (კორექტორი); ნათილა გომბაშვილი (ბულატიერი); ნინო ზინაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქინაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-09-24-65 (რედაქტორი)
რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.